

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 31 იანვარს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- **სტოიანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №39206/07**

აპლიკანტი ალექსანდრე სტოიანოვი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ამჟამად 20-წლიან სასჯელს იხდის შერეული ტიპის ციხეში, რომელიც მდებარეობს ქალაქ ვარნაში, სხვადასხვა დანაშაულის, მათ შორის მკვლელობისა და ძალადობის გამო. 2002 წლის სექტემბერში ბატონი სტოიანოვი, რომელიც უკვე იძებნებოდა პოლიციის მიერ სხვა სისხლის სამართლის ბრალდების გამო, სავარაუდოდ თავის მეგობარ გოგონას ესროლა წვეულებაზე, ჩაჯდა მანქანაში და იარაღის მუქარის ქვეშ აიძულა მძღოლი, გაეყვანა იგი ქალაქიდან. იგი მიმალვაში იმყოფებოდა ვიდრე არ იპოვეს და დააპატიმრეს 2006 წლის აპრილში. საქმე ეხება მის განაცხადს იმის თაობაზე, რომ იგი დაუსწრებლად გაასამართლეს მკვლელობისა და ძალადობის ბრალდებით, მაგრამ როდესაც მოგვიანებით დააპატიმრეს, მას უარი ეთქვა საქმის ხელახალ განხილვაზე. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ამით მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. ამას გარდა, იგი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ასევე დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან მისი პატიმრობა 2009 წლის აპრილიდან უკანონო იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი არ დარღვეულა. სასამართლომ ასევე იმსჯელა სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნაზე და დაადგინა, რომ კონვენციის დარღვევის დადგენა ამ შემთხვევაში თავისთავად მოიცავდა სამართლიან დაკმაყოფილებას არამატერიალური ზიანის ანაზღაურები კუთხით. სასამართლომ ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად სახელმწიფოს დააკისრა 1.600 ევროს გადახდა.

- **ასუნსაო ჩავესი პორტუგალიის წინააღმდეგ – განაცხადი №61226/08**

აპლიკანტი ბრაზილიის მოქალაქეა, დაიბადა 1977 წელს და ცხოვრობს ლურესში (პორტუგალია). მას და პორტუგალიის მოქალაქეს შეეძინათ გოგონა, რომელიც დაიბადა 2006 წელს საავადმყოფოში. ბავშვის უსაფრთხოებით შეწუხებულმა სამედიცინო პერსონალმა პროკურატურას აცნობა, რომ დედა ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, გონებრივად რთულად ათვისების უნარი ჰქონდა, აწუხებდა ეპილეფსია და უარს ახცადებდა ეზრუნა თავის თავზე. მათ (პერსონალმა) ასევე აღნიშნეს ახალშობილის მშობლების ფინანსურად არასაიმედო მდგომარეობა და დედის მხრიდან ოჯახთან კონფლიქტი. ბავშვთა დაცვის კომისიამ და ბავშვთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ – „რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდობა“ – დაადგინა, რომ ბავშვი უნდა დარჩენილიყო საავადმყოფოში და შემდეგ ბავშვთა თავშესაფარში გადაეყვანათ. 2009 წლის 2 აპრილს, ლისაბონის საოჯახო სასამართლომ მშობლებს ჩამოართვა მშობლების უფლება და აუკრძალა ბავშვთან კონტაქტი. მოსამართლემ დანიშნა დროებითი დაცვა და და დაიწყო გაშვილების პროცესი. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით ბატონი ასუნსაო ჩავესი დაობს, რომ მისი გოგონას სპეციალურ დაცვებულებაში განთავსება და მისთვის მშობლის უფლებების ჩამორთმევა არღვევს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო კონვენციის მე-8 მუხლი არ მიიჩნია დარღვეულად. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **სლაშჩევი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №24996/05**

აპლიკანტი, რომელმაც მოკლა დედა და ამჟამად სასჯელს იხდის მორჩანსკის (ტამბოვის რეგიონი, რუსეთი) ციხეში, ჩივის, რომ სააპელაციო განხილვებისას მას არ ჰყავდა ადვოკატი და განხილვა მიმდინარეობდა მის დაუსწრებლად, რაც მისი მტკიცებით წარმოადგენს საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 1.800 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 30 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- **აშიჩი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №26656/04**

აპლიკანტი ატილა აშიჩი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1976 წელს და ცხოვრობს სტამბულში. 2002 წლის 29 აგვისტოს, 11:30 საათისთვის, პოლიციას აცნობეს, რომ 24-კაციანი ჯგუფი, რომელთა შორის ბატონი აშიჩიც იმყოფებოდა, შეკრებილი იყო სტამბულში საფრანგეთის საკონსულოს წინ, რათა გადაეცათ წერილი, რომლითაც ითხოვდნენ თურქეთში "F" ტიპის ციხეების დენონსაციას (გაუქმებას). საკონსულოს აპარატის თანამშრომლებმა უარი განუცხადეს აღნიშნულ ჯგუფს საკონსულოს შენობაში შესვლაზე და შესთავაზეს, რომ წერილი მხოლოდ ერთ პიროვნებას გადაეცა მათთვის და ასევე სთხოვეს, რომ საკონსულოსთან მისასვლელი გზა გაეთავისუფლებინათ. მას შემდეგ, რაც წერილი საკონსულოს გადაეცა პოლიციის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე მოსთხოვეს დემონსტრანტებს, რომ დაშლილიყვნენ, რაზედაც მათ უარი განაცხადეს და დაუინებით მოითხოვეს საჯარო განცხადებების გაკეთება იმავე ადგილას. დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის მოხდა შეტაკება, რა დროსაც დააპატიმრეს 31 მონაწილე ბატონი აშიჩის ჩათვლით და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით აპლიკანტი აცხადებს, რომ პოლიციის მხრიდან ჩარევა წარმოადგენდა მისი გამოხატვის უფლებების დარღვევას, რადგან მას ხელი შეეშალა პრესის წინაშე გაეკეთებინა განცხადება.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი და განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 1.800 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **კარამანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №60272/08**

აპლიკანტებიდან სამი თურქეთის მოქალაქეა, ხოლო ერთი – გერმანიის. ისინი დაკავებულები არიან თურქეთის სხვადასხვა ციხეში. 2008 წლის 11 თებერვალს განმცხადებლები გაასამართლეს სტამბულის მე-12 ასიზების სასამართლოში უკანონო ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. იმ დღეს სასამართლოს შენობის დასაცავად გამოყენებული იყო უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები, რადგან იხილებოდა სომეხი წარმოშობის თურქი ჟურნალისტის პრანტ დინკის მკვლელობის საქმე, რომელიც მისი ოფისის წინ მოკლეს 2007 წელს. განმცხადებლები იძულებულები იყვნენ სხვა ბრალდებულებთან ერთად გაეზიარებინათ საკანი, რომელთაც განსხვავებული მოსაზრებები და შეხედულებები ჰქონდათ. მათთან გამართული განხილვები გადაიზარდა კონფრონტაციაში. პოლიცია ჩაერია იმ დროს, როდესაც ორი ჯგუფი ერთმანეთში უკვე ხელჩართული ჩხუბობდა. განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ განხორციელდა სასტიკი მოპყრობა პოლიციის უუნარობის გამო, მიეღოთ უსაფრთხოების ყველა საჭირო ზომა 2008 წლის 11 თებერვლის მოსმენებისას. ისინი ჩივიან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სასამართლო განხილვების წარმართვის მეთოდებზე და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არარსებობაზე კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და სახელმწიფოს თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 11.700 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 3.600 ევროს გადახდა ერთობლივად, ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

ანალოგი საქმეები

- **ვენტოურისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №33252/08**

1989 წლის 7 ივნისს განხორციელდა აპლიკანტების კუთვნილი მიწების ექსპროპრიაცია რეკლასიფიკაციის შედეგად ურბანული განვითარების გეგმის „მწვანე სამყაროს“ ფარგლებში. მათ ვერ მიიღეს კომპენსაცია, ვიდრე 16 წლის შემდეგ ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ გამოიტანა მათი სასარგებლო გადაწყვეტილება. ისინი ჩივიან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების უგულებელყოფის გამო და ასევე ეფექტური ზომების არარსებობის გამო, რომლითაც ისინი შეძლებდნენ პირველადი ექსპროპრიაციის გასაჩივრებას. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი.

- **პირნაუ და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადები №№37225/07, 7456/08 და 12255/08**

საქმე ეხება აპლიკანტების განაცხადს მათ სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომელიც მესამე მხარის მიერ ვადების დარღვევით შემოტანილი საჩივრის შემდეგ მოხდა. აპლიკანტები ჩივიან, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

- **გაჯიხანოვი და საუკოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადები №№10511/08 და 5866/09**

აპლიკანტები ჩივიან ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის თაობაზე, რომელიც კომპენსაციის მიღებას ეხებოდა. განაცხადი №10511/08 სახელმწიფოს მიერ სახლის უკანონო კონფისკაციის შედეგად მიკუთვნებულ კომპენსაციას ეხება, ხოლო განაცხადი №5866/09 – უკანონო პატიმრობის გამო მიკუთვნებულ კომპენსაციას.

გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე

- **ფოლო და სხვები იტალიის წინააღმდეგ – განაცხადები №№28433/03, 28434/03, 28442/03, 28445/03 და 28451/03**
- **იაგუზდოლანი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №8472/07**

ორივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.